

პაპობის ხედვა ომისშემდგომ მსოფლიო მოწყობაზე – 1942 წლის საშობაო უწყება

ირაკლი ჯავახიშვილი*

I. შესავალი

მეორე მსოფლიო ომი, რომელიც 1939-1945 წლებში მიმდინარეობდა და რომლის ეპიცენტრსაც ევროპის კონტინენტი წარმოადგენდა, ერთ-ერთი ყველაზე დრამატული მოვლენაა მსოფლიო ისტორიაში. მან უდიდესი ტანჯვა და ნგრევა მოუტანა მილიონობით ადამიანს, ქვეყნებს, ხალხებს და ჯგუფებს. ბუნებრივია, რომ ამ საყოველთაო ფენომენის გავლენის მიღმა ვერ დარჩებოდა ვერც წმინდა საყდარი, ვინაიდან ეს უკანასკნელი საერთაშორისო ურთიერთობების აქტიური შემადგენელი აქტორია. „საერთაშორისო სამართლის ფორმირებაში ეკლესიის როლი და მიზანია, ... ხელი შეუწყოს და დაეხმაროს ყველას კანონიერ ინტერესებს და არა მხოლოდ კონკრეტულ ინტერესებს – განსაკუთრებით, ძლიერთა ინტერესებს“.¹ და აქვე უნდა დავძინოთ, რომ „ეს როლი და ინტერესი წმინდა საყდრის ნორმატიული მისიის გულშია, რომ დაიცვას რელიგიური და მორალური წესრიგი მთელ დედამიწაზე“.²

წმინდა საყდრის დიპლომატიური სამსახური ერთ-ერთი უძველესია მსოფლიოში. მისი დიპლომატიების არაკონვენციური ბუნება ეფუძნება მათი საეკლესიო როლის, როგორც პაპის წარმომადგენლების, რთულ ხასიათს და მათ სამართლებრივ დიპლომატიურ სტატუსს. წმინდა საყდრის დიპლომატია არის ერთგვარი ქცევის

* სოციალურ მეცნიერებათა დოქტორი, სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტის საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო პროგრამის ხელმძღვანელი. ir.javakhishvili@sabauni.edu.ge

¹ Araujo R.J., *The Nature and Role of the Catholic Church and the Holy See in the International Order*, International Relations, September 24, 2013. <<https://www.e-ir.info/2013/09/24/the-nature-and-role-of-the-catholic-church-and-the-holy-see-in-the-international-order/>> [02.10.2021]

² იქვე.

ირაკლი ჯავახიშვილი

ფორმა, რომელიც იქმნება შერეული სეკულარული და რელიგიური სტანდარტებით. ესაა გარკვეულწილად ჰიბრიდული დიპლომატიური სამსახური, რომლის საქმიანობასაც გლობალური მასშტაბი აქვს.

II. წმინდა საყდარი მეორე მსოფლიო ომში

ხშირად არსებობს ეჭვები იმასთან დაკავშირებით, ეკავა თუ არა წმინდა საყდარს ნეიტრალური პოზიცია მეორე მსოფლიო ომში – ატარებდა თუ არა იგი შერიგების იმ პოლიტიკას, რომელიც დამახასიათებელი იყო ეკლესიის დიპლომატიისთვის ომთაშორის პერიოდში (1919-1939). ვატიკანისთვის ნეიტრალიტეტი ნიშნავდა მონივრულ მხარეებისგან თავის შორს დაჭერას და, რაც მთავარია, იმ გარემოს შენარჩუნებას, რომელშიც ეკლესია შეძლებისამებრ თავისუფლად და ღიად იმოქმედებდა.

ისტორიკოსები, ზოგადად, მიიჩნევენ, რომ პაპ პიუს XII-ის პოლიტიკა თანხმობაში იყო ვატიკანის დიპლომატიის მრავალსაუკუნოვან ტრადიციასთან. დიდი დეპრესიის წლებში, რომელმაც 1929 წელს იფეთქა, ამ ტრადიციას ინტერპრეტირებდა ვატიკანის სახელმწიფოს მდივანი, ეუჯენიო პაჩელი, რომელიც მოგვიანებით პაპი პიუს XII გახდა. იგი გამოხატავდა მტკიცე ერთგულებას წმინდა საყდრის სულიერი და სამწყსო მისიის მიმართ. როდესაც 1930-იან წლებში ფაშიზმის გავლენა გაიზარდა ევროპაში, ვატიკანმა დისტანცია შეინარჩუნა და მხოლოდ მაშინ უპირისპირდებოდა ფაშისტურ იდეოლოგიას, როდესაც ის კათოლიკური მოძღვრების მნიშვნელოვან საკითხებს ან კათოლიკე ეკლესიის სამართლებრივ მდგომარეობას ეხებოდა.

წმინდა საყდარი ჰიტლერსა და მუსოლინს ებრძოდა რასობრივ საკითხებთან დაკავშირებით, თუმცა ებრაელების საკითხის შესახებ დღემდე არაერთი კითხვის ნიშანი რჩება. საერთო სურათი მაინც ისაა, რომ მეორე მსოფლიო ომის წლებში წმინდა საყდარი ცდილობდა ომისგან გამონვეული პოტენციური ნგრევებისა და განადგურების თავიდან აცილებას ან შემსუბუქებას, რამდენადაც ეს მისი შესაძლებლობების ფარგლებში იყო. ხშირ შემთხვევაში, კათოლი-

კე ეკლესია და პაპი მხოლოდ მონოდებებით შემოიფარგლებოდნენ, ვინაიდან სხვა საშუალებები არ გააჩნდათ, თუმცა პრაქტიკული დახმარების არაერთი მაგალითიც არსებობს.

III. ძირითადი საკითხი

პაპობისთვის მთავარ მიზანს წარმოადგენდა მსოფლიოში მიმდინარე გლობალური კონფლიქტის რაც შეიძლება მალე დასრულება და მშვიდობის დამყარება. ამისთვის, როგორც უკვე აღვნიშნეთ, წმინდა საყდარი სხვადასხვა გზას და საშუალებას მიმართავდა, რაც კი ხელენიფებოდა. იმ წლებში პაპის პიროვნების შესახებ წინააღმდეგობრივი შეხედულებების არსებობის მიუხედავად, პიუს XII აქტიურ ანტისაომარ პოლიტიკას ახმოვანებდა და, მეტიც, ახალი საერთაშორისო წესრიგის ჩამოყალიბებისკენ მოუწოდებდა მსოფლიოს.³

ჯერ კიდევ 1939 წლის აგვისტოში პაპი მთელ მსოფლიოს აფრთხილებდა ომის საშიშროების შესახებ და მიმართავდა მსოფლიოს ხალხებსა და მმართველებს:

„ჩვენი გამუდმებული შეგონებებისა და განსაკუთრებული ინტერესის მიუხედავად, დღეს უფრო შემაშფოთებლად იგრძნობა სისხლიანი საერთაშორისო კონფლიქტის შიშები; დღეს სულების დაძაბულობა იქამდე აღწევს, რომ გარდაუვალი ჩანს ომის საშინელი გრიგალის ამოვარდნა. ამიტომ, მამობრივად ახალი და უფრო ცივი მონოდებით მივმართავთ მმართველებს და ხალხებს: რომ შეეცადონ დღეს არსებული უთანხმოებების მოგვარებას“.⁴

³ პირველი მსოფლიო ომის დროს პაპი ბენედიქტე XV-ც აქტიურად მოუწოდებდა მეომარ მხარეებს, რომ სასწრაფოდ დაესრულებინათ საბრძოლო მოქმედებები.

⁴ Pio XII, *RadioMessaggio di Sua Santità Pio XII Rivolto ai Governanti ed ai Popoli nell'imminente Pericolo della Guerra*. Libreria Editrice Vaticana, 24 Agosto 1939.

<https://www.vatican.va/content/pius-xii/it/speeches/1939/documents/hf_p-xii_spe_19390824_ora-grave.html> [06.10.2021]

ამ მნიშვნელოვანი განცხადების შემდეგ, წმინდა მამა თავის ცნობილ სიტყვებს აჟღერებდა: „მშვიდობით არაფერი იკარგება. ომით ყველაფერი შეიძლება მოხდეს”.⁵ მსოფლიოს ხალხებმა და ლიდერებმა არ შეისმინეს პაპის მოწოდება და აღნიშნული უწყებიდან რამდენიმე დღეში, 1939 წლის 1 სექტემბერს, გლობალური მასშტაბის სამხედრო კონფლიქტმა იფეთქა, რომელიც ისტორიაში მეორე მსოფლიო ომის სახელითაა ცნობილი.

ჩვენ ნინამდებარე სტატიის მიზანი არაა მეორე მსოფლიო ომის პერიოდში (1939-1945) წმინდა საყდრის და პაპ პიუს XII-ის მიერ გატარებული საგარეო პოლიტიკა თუ დიპლომატია (რომელიც, თავისთავად, ძალზე საინტერესო და მეტად კომპლექსური თემაა). აქ ჩვენ შევეცდებით, წარმოვაჩინოთ ის ძირითადი ხედვა, რომელიც რომის უმაღლეს პონტიფექსს ჰქონდა მსოფლიო ომის შემდგომ საერთაშორისო მოწყობაზე. აღნიშნული ხედვა საუკეთესოაა გამოცემული 1942 წლის 24 დეკემბრის პაპის საშობაო რადიოუწყებაში („ყველა ხალხს მსოფლიოში“).

IV. 1942 წლის საშობაო უწყება

წმ. ავგუსტინეს და წმ. თომა აქვინელის მსგავსად, პიუს XII წესრიგის არსს მშვიდობიან თანაცხოვრებაში ხედავდა. პირველი მნიშვნელოვანი შეხედულება, რომელსაც პაპი აჟღერებდა, იყო მშვიდობის ორმაგი ელემენტი საზოგადოებრივ ცხოვრებაში; ამგვარად, ორი მთავარი ელემენტი განსაზღვრავდა საზოგადოებრივ ცხოვრებას: (1) თანაცხოვრება წესრიგში და (2) თანაცხოვრება სიმშვიდეში.⁶ ცოტათი ადრე წმინდა მამა თავისეულ ხედვას გამომოსცემდა საერთაშორისო ურთიერთობებსა და ერების შიდა წესრიგთან დაკავშირებით: „საერთაშორისო ურთიერთობები და შიდა

⁵ იქვე.

⁶ Pio XII, Radio Messaggio de Sua Santità Pio XII. Libreria Editrice Vaticana, 24 Dicembre 1942.

<https://www.vatican.va/content/pius-xii/it/speeches/1942/documents/hf_p-xii_spe_19421224_radiomessage-christmas.html> [06.10.2021]

ნესრიგი ერთმანეთთანაა დაკავშირებული, ქმნის წონასწორობას და ჰარმონიას ერებს შორის, დამოკიდებულია სახელმწიფოთა შიდა წონასწორობასა და სიმწიფეზე მატერიალურ, სოციალურ და ინტელექტუალურ სფეროში“.⁷

1942 წლის საშობაო უწყებაში უმნიშვნელოვანესი მომენტი იყო „5 სამშვიდობო პუნქტი“, რომლებიც, რეალურად, ომისშემდგომი საერთაშორისო ნესრიგის არსს გამოხატავდა:

1. პიროვნების ღირსება და უფლებები;
2. სოციალური ერთობის და, განსაკუთრებით, ოჯახის დაცვა;
3. შრომის ღირსება და პრეროგატივა;
4. იურიდიული ნესრიგის აღდგენა;
5. სახელმწიფოს კონცეფცია ქრისტიანული სულისკვეთების შესაბამისად.⁸

წმინდა მამა საუბარს იწყებდა იმის აღნიშვნით, რომ იესო არის ნათელი, რომელიც ბნელში ანათებს, და რომ მსოფლიო ჩაძირულია ფატალური შეცდომების სიბნელეში. კათოლიკე ეკლესიას არ ჰქონდა განზრახვა, რომ რომელიმე მხარე დაეჭირა, არამედ ისწრაფოდა, რომ ყოფილიყო ჭეშმარიტების სვეტი შესაბამისი უნარით, რომ გზა ეჩვენებინა ერებისთვის მეორე მსოფლიო ომის კატასტროფისას.

ორიოდე სიტყვით რომ შევეხოთ ხსენებულ პუნქტებს, ისინი შეგვიძლია შემდეგნაირად დავახასიათოთ:

1. პიროვნების ღირსება და უფლებები: ადამიანებს შექმნისას ღმერთმა მიანიჭა ღირსება (*Imago Dei*). ყოველი პიროვნება არის ინდივიდი, რომელსაც გააჩნია სამშვიდველი. ინსტიტუციები უნდა უზრუნველყოფდნენ პიროვნულ პასუხისმგებლობას. საზოგადოებაში დაცული უნდა ყოფილიყო შემდეგი უფლებები: რელიგიური ფორმაცია და აღზრდა, ღმერთისადმი თავყვანისცემა კერძოდ და საჯაროდ, გულმონყალეობის საქმეები, ქორწინება და ოჯახის შე-

⁷ იქვე.

⁸ იქვე.

ქმნა, ცოლქმრული და ოჯახური საზოგადოება, შრომა, მონოდების არჩევა და მატერიალური სიკეთეების გამოყენება.

2. სოციალური ერთობის და განსაკუთრებით ოჯახის დაცვა: კათოლიკე ეკლესიის შეხედულებით, დაცული უნდა იყოს ქორწინების ურღვეობა. ოჯახის კონტექსტში წყვილი საკუთარ მისიას ასრულებს სიცოცხლის მხარდაჭერით და გაგრძელებით.

3. შრომის ღირსება და პრეროგატივა: პაპი ხაზს უსვამდა, რომ ყველანაირი შრომა ფასეული იყო და ადამიანის ღირსებას უკავშირდებოდა. იგი ამბობდა, რომ კათოლიკე ეკლესია აცხადებდა შრომის მორალურ კეთილშობილებას და რომ საჭირო იყო სამართლიანი ხელფასების გადახდის სისტემა (იგი შიშობდა, რომ მშრომელთა ამბოხი ნაყოფიერ ნიადაგს შექმნიდა მარქსიზმისა და კომუნისმისათვის ევროპაში). გარდა ამისა, საჭირო იყო სოციალური წესრიგის დაცვა, რაც შესაძლებლობას მისცემდა ადამიანთა ყველა კლასს, კერძო საკუთრება ჰქონოდა.

4. იურიდიული წესრიგის აღდგენა: პიუს XII-ს სჯეროდა, რომ იურიდიულ წესრიგზე გავლენას ახდენდა პოზიტივიზმი და უტილიტარიზმი, რაც ცვლილებებს იწვევდა კანონმდებლობაში. უპირატესობა ენიჭებოდა ღმერთის უზენაეს ბატონობაზე დაფუძნებულ იურიდიულ წესრიგს. როგორც პონტიფიქსი აცხადებდა: „ღმერთისთვის სასურველი იურიდიული წესრიგიდან მომდინარეობს ადამიანის ხელშეუვალი უფლება იურიდიული უსაფრთხოებისა“.⁹

წმინდა მამა საჭიროდ მიიჩნევდა მტკიცე იურიდიულ საფუძველს, რომელიც დამყარებული იქნებოდა სასამართლოთა ავტორიტეტზე. ეს კი გულისხმობდა (ა) ტრიბუნალებს და მოსამართლეებს, რომლებიც გადაწყვეტილებებს მიიღებდნენ კარგად განსაზღვრული კანონების საფუძველზე; (ბ) იურიდიულ ნორმებს, რომლებსაც ვერ სძლევდა სახალხო გრძნობები და უტილიტარული შეხედულებები; (გ) რომ სახელმწიფოს, ორგანიზაციებს და მოხელეებს უარი უნდა ეთქვათ საკუთრებისთვის, თავისუფლებისთვის,

⁹ იქვე.

ღირსებისთვის, პროგრესისა და ინდივიდთა ჯანმრთელობისათვის საზიანო ღონისძიებებზე.¹⁰

5. სახელმწიფოს კონცეფცია ქრისტიანული სულისკვეთების შესაბამისად: პაპი იძლეოდა რეკომენდაციას, რომ გონივრულ წესრიგს და ქრისტიანულ სულისკვეთებას უნდა შეექმნა საძირკველი, რომელზეც სახელმწიფო აშენდებოდა. ეს გულისხმობდა, რომ სახელმწიფო უნდა ყოფილიყო ადამიანთა საზოგადოების სამსახურში. ძალაუფლებაში მყოფებს უნდა სცოდნოდათ, რომ საზოგადოების მმართველთა მოვალეობაა, ემსახურონ მის წევრებს.

პიუს XII-ის ხედვაში ქრისტიანობა მიიჩნეოდა მოდელად, რომელზეც უნდა დაფუძნებულიყო საზოგადოება. იმ რწმენით, რომ ევროპულ საზოგადოებას ქრისტიანული ფესვები აქვს, პაპის მიერ მხარდაჭერილი ქრისტიანული იდეალები უნდა ყოფილიყო იმ ხედვის ნაწილი, რომელსაც უნდა შეექმნა ახალი ევროპა და მსოფლიო, ომის დროსაც და მშვიდობის ჟამსაც.

V. დასკვნა

1942 წლის საშობაო რადიოუწყება, რომელშიც პაპი პიუს XII საუბრობს მეორე მსოფლიო ომისშემდგომი საერთაშორისო მოწყობის არსზე, ნათლად წარმოაჩენს რომის კათოლიკე ეკლესიის დაწმინდა საყდრის ზოგად ხედვას ომისა და მშვიდობის საკითხებზე. რასაკვირველია, პაპობისთვის სრულებით მიუღებელია ომის გამანადგურებელი ფენომენი და ის მტკიცედ უჭერს მხარს მშვიდობას ერებს შორის და მთელ მსოფლიოში. თუმცა, როგორც სტატიაშია ნათქვამი, ომისშემდგომ მსოფლიო მშვიდობას რამდენიმე მნიშვნელოვანი წინაპირობა უნდა ჰქონდეს; საშობაო უწყებაში საუბარია ისეთ ცნებებზე, როგორებიცაა: ადამიანის ღირსება და უფლებები, სოციალური ერთობა და ოჯახის დაცვა, შრომის ღირსება, იურიდიული წესრიგის აღდგენა და სახელმწიფოს ქრისტიანული კონცეფცია. ეს ის ძირითადი სვეტებია, რომლებზეც, პაპობის ხედვით,

¹⁰ იქვე.

ირაკლი ჯავახიშვილი

დაფუძნებული უნდა ყოფილიყო ომისშემდგომი მსოფლიო წესრიგი.

აღნიშნული უწყებიდან აშკარად ჩანს, რომ ომისშემდგომი მსოფლიო მოწყობა, პაპ პიუს XII-ის ხედვით, ვერ შეიქმნება უბრალოდ საერთაშორისო სისტემაში სახელმწიფოებს შორის მშვიდობიანობის პირობების უზრუნველყოფით, არამედ, პირველ რიგში, საჭიროა შესაფერისი სამართლებრივ-სოციალური პირობების დადგენა ცალკეულ საზოგადოებებში. აქედან გამომდინარე, წმინდა საყდრის ხედვა გულისხმობს, რომ საერთაშორისო ურთიერთობები და ერებს შიგნით არსებული ჰარმონია მჭიდროდაა ერთმანეთთან დაკავშირებული, განსაკუთრებით როდესაც საქმე მშვიდობას ეხება.

PAPAL VISION ON POST-WAR WORLD ORDER – 1942 CHRISTMAS MESSAGE

Irakli Javakhishvili*

In December 24, 1942, Pope Pius XII made his famous Christmas Radio-message in which he talked about the world order in the post-war period. In his message, Holy Father emphasized the importance of internal harmony of the nations and focused on the prerequisites for world peace after the end of the Second World War (1939-1945). His vision was not merely political but covered various juridical and social aspects such as human dignity and rights, social cohesion and protection of family, dignity of work, restoration of juridical order and Christian concept of the state. As a result, the general vision of the Holy See meant that international relations and harmony within the nations are closely interconnected, especially as for peace in world.

Keywords: Holy See, Order, Papacy, Peace, War.

* Ph.D. in Social Sciences, Academic Manager of International Relations BA Program at Sulkhani-Saba Orbeliani University. ir.javakhishvili@sabauni.edu.ge